



TBILISI HUMANITARIAN
TEACHING UNIVERSITY

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტის სხდომის

ოქმი № 17 / 2017

თბილისი

11 დეკემბერი 2017 წ.

სხდომის დაწყების დრო: 10.00
სხდომის დასრულების დრო: 15.30
სხდომას ესწრებოდნენ:

- | | |
|----------------------------------|---------------------------------|
| 1. პროფ. კახი ყურაშვილი; | 8. უფრ. მასწ. ლალი ფაფიაშვილი; |
| 2. პროფ. თამარ ჩიტოშვილი; | 9. უფრ. მასწ. ნინო ნიჟარაძე; |
| 3. პროფ. არჩილ ლორია; | 10. უფრ. მასწ. მია კოპალიშვილი; |
| 4. პროფ. ლელა ნადიბაძე; | 11. უფრ. მასწ. შალვა ქურდაძე; |
| 5. პროფ. მაკა სალხინაშვილი; | 12. სტუდენტი გიორგი ჩინჩალაძე; |
| 6. ასოც. პროფ. დავით გეფერიძე; | 13. სტუდენტი ალექსანდრე კუჭავა; |
| 7. ასოც. პროფ. მანანა ხვედელიძე; | 14. სტუდენტი იაგო შაკაია |

ქვორუმი: 11

სხდომის თავმჯდომარე: პროფ. კ. ყურაშვილი

სხდომის მდივანი: ე. ირემაძე

დღის წესრიგი:

1. თჳუ სამართლის ფაკულტეტის საჯარო სამართლის სამაგისტრო პროგრამის მოდიფიცირების თაობაზე (მომხს. პროფ. კ. ყურაშვილი);

მოისმინეს:

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის პროფესორ კახი ყურაშვილის ინფორმაცია, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტების ზეპირად გამოთქმული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია პროგრამაში განხორციელდეს ცვლილებები, სილაბუსების ნაწილში. კერძოდ, გადამუშავდა საჯარო სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ორი სასწავლო დისციპლინის სილაბუსი: 1) „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და ეროვნული დაცვის მექანიზმები“; 2) „სამეცნიერო წერის კულტურა და კვლევის მეთოდები“. ორივე სასწავლო კურსის სილაბუსი წარმოდგენილი იყო ასოც. პროფესორ დავით გეფერიძის მიერ. მის ნაცვლად

აღნიშნულ სასწავლო საგნების წაკითხავს საჯარო სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი კ. ყურაშვილი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 1-ლ სილაბუსში დაკორექტირდა სასწავლო კურსის სახელწოდება და ეწოდა: „ადამიანის ძირითადი უფლებები და მათი დაცვის მექანიზმები“; გაიზარდა ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალური და ევროპული ნორმატიული და ინსტიტუციური მექანიზმების სწავლებისათვის განკუთვნილი საათების ოდენობა, ყურადღება გამახვილდა უფლებათა დაცვის ეროვნული მექანიზმებიდან ყველაზე ახალზე - ანტი-დისკრიმინაციულ კანონსა და თანასწორობის ეროვნული მექანიზმის ინსტიტუტზე; ადამიანის ცალკეული ძირითადი უფლებები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციიდან შეთავაზებულია, მხოლოდ ადამიანის უფლებათა დაცვის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის, ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სტანდარტთან შედარებით-სამართლებრივი ანალიზის ჭრილში, არაადაპტირებული პრეცედენტული სამართლის წყაროებით. შესაბამისად, გადახალისდა გამოსაყენებელი ლიტერატურა, სწავლების მიზანი, ხოლო მე-2 სილაბუსში შეიცვალა გამოსაყენებელი ლიტერატურა უახლესი სპეციალური ლიტერატურით (ა) ანა დოლიძე, აკადემიური წერა სამართალში, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2017; ბ) გიორგი ლლონტი, ალექსანდრე ლლონტი, სამეცნიერო კვლევის მეთოდები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2017). ეს ლიტერატურა ხელმისაწვდომია თჰუ ბიბლიოთეკაში.

მომხსენებელმა წარმოადგინა მოდიფიცირებული საჯარო სამართლის სამაგისტრო პროგრამა დანართი N1-ის სახით და აღნიშნული საკითხები დააყენა კენჭისყრაზე.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ა. ლორიამ და ასოც. პროფ. დ. გეფერიძემ

კენჭისყრის შედეგი: ერთხმად

გადაწყვიტეს:

1. მოწონებულ იქნას და დასამტკიცებლად წარედგინოს აკადემიურ საბჭოს მოდიფიცირებული საჯარო სამართლის სამაგისტრო პროგრამა დანართი N1-ის სახით;
2. აღნიშნული გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს თჰუ ვებ-გვერდზე და გადაეგზავნოს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

თავმჯდომარე :

კ. ყურაშვილი

მდივანი:

ე. ირემაძე

